

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება

დაავადებათა კონტროლის და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნულ ცენტრს 2004 წლის დარგობრივი სტატისტიკური ანგარიშები ჩააბარა ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე 1354 დამოუკიდებელმა ლიცენზირებულმა დაწესებულებამ.

ჯანდაცვის სისტემის დაწესებულებების საერთო რაოდენობიდან 1323 დაწესებულება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ხოლო 31 სხვა უწყებების დაქვემდებარებაშია.

ექიმთა რაოდენობა, რომლებიც 2004 წელს მუშაობდნენ ჯანდაცვის სექტორში შეადგენდა 21396, მათ შორის 1159 ემსახურებოდა სხვა უწყებების სამედიცინო დაწესებულებებს. ექიმთა საერთო რაოდენობის 64,6% ქალია. კადრების მომზადების დაწესებულებებში, სამედიცინო-კვლევით ინსტიტუტებში, მართვის აპარატის ორგანოებში მუშაობდა 1293 ექიმი.

საქართველოში 1988 - 1996 წლებში ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებელს ახასიათებდა კლების ტენდენცია, 1999 წლიდან მაჩვენებელი სტაბილურია და 2004 წელს შეადგენს 489,4 ექიმს 100000 სულ მოსახლეზე.

1988 - 1998 წლებში საშუალო სამედიცინო პერსონალის რაოდენობა თითქმის ორჯერ შემცირდა. 2004 წელს საშუალო სამედიცინო პერსონალის რაოდენობა შეადგინა 21622, ხოლო უზრუნველყოფის მაჩვენებელია 494,6. 1 ექიმზე მოდის ერთი საშუალო სამედიცინო პერსონალი.

2004 წლის ბოლოს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში კონტრაქტი გაფორმებული იყო 20718 ექიმის თანამდებობაზე, მ.შ. პოლიკლინიკურ-ამბულატორულ დაწესებულებებში 10795,5-ზე.

2004 წლის ბოლოსათვის სტაციონარული დაწესებულებების ქსელი წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით შედგებოდა 275 სტაციონარისაგან 17841 საწოლით (ერთ სტაციონარს 35 საწოლზე ანგარიში არ წარმოუდგენია). მათ შორის 246 საავადმყოფოა 15513 საწოლით, 11 დისპანსერი 253 საწოლით და 18 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკა 2075 საწოლით. 246 საავადმყოფოდან 105 სპეციალიზირებულია.

2002 წელს საწოლთა ჯამური რესურსის 6,3%-ით, ხოლო 2003 წელს 0,43%-ით შემცირების შემდეგ, 2004 წელს საწოლთა ჯამური რესურსი შემცირდა 2,0%-ით (370 საწოლით). 100000 სულ მოსახლეზე საწოლთა უზრუნველყოფის მაჩვენებელი 407,3-ს შეადგენს. სტაციონარებში კონტრაქტი გაფორმებული იყო 9922,5 ექიმის და 12013 საშუალო სამედიცინო პერსონალის თანამდებობაზე. საშუალოდ 1 ექიმზე მოდის 1,8 საწოლი, ხოლო 1 საშუალო სამედიცინო პერსონალზე 1,5 საწოლი.

ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა რაოდენობა 2004 წელს, 2003 წელთან შედარებით, 13,2%-ით გაიზარდა და შეადგენდა 5580,4 ჰოსპიტალიზირებულს 100000 სულ

მოსახლეზე. საანგარიშო წელს პაციენტების სტაციონარული მკურნალობისას პაციენტთა მიერ გატარებული საწოლდღეების რაოდენობა გაიზარდა 5,4%-ით და შეადგინა 2109886 საწოლდღე.

საწოლთა საშუალო დატვირთვა შეადგენდა 118,7 დღეს. 2003 წელთან შედარებით საწოლზე დაყოვნების საშუალო მაჩვენებელმა დაიკლო 9,3-დან 8,6-მდე, ბრუნვის მაჩვენებელმა წინა წელთან შედარებით მოიმატა 11,8-დან 13,7-მდე

მაღალი დატვირთვის და ხანგრძლივი დაყოვნების მაჩვენებლებია ტუბერკულოზის და ფსიქიატრიულ პროფილის საწოლებზე.

ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა 45,2% თბილისში, 14,8% იმერეთში, 8,7% აჭარაში მკურნალობდა.

ლეტალობის საერთო მაჩვენებელმა 2003 წელთან შედარებით დაიკლო 2,1%-დან 1,9%-მდე, 15 წლამდე ასაკის ბავშვებში 1,9%-დან 1,6%-მდე, 1 წლამდე ასაკის ბავშვებში 4,3%-დან 4,2%-მდე.

სტაციონარებში ჩატარებულია 90790 ოპერაცია, 9,9%-ით მეტი ვიდრე 2003 წელს. ოპერაციების 19,3%-ს გადაუდებელი ოპერაციები შეადგენს. გადაუდებელ ოპერაციების შემთხვევაში პაციენტთა 17,6% სტაციონარში შევიდა 24 საათზე მეტი დაგვიანებით, რაც ლეტალობას 1,4%-დან 2,7%-მდე ზრდის.

2004 წელს საქართველოში პირველად დაექვემდებარა აღრიცხვას კიდურების ან მისი ნაწილის ამპუტაცია ღიაბეტის გამო; ოპერაცია გაკეთებული აქვს 257 პაციენტს, ლეტალობა - 2,3%-ია.

2004 წლის წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით პირველადი ჯანდაცვის ქსელი შედგება 885 დამოუკიდებელი ამბულატორულ-პოლიკლინიკური დაწესებულებისგან და 102 სტაციონარში შემავალი პოლიკლინიკისგან.

885 დამოუკიდებელი ამბულატორულ-პოლიკლინიკური დაწესებულებიდან 52 სამკურნალო ცენტრია, 93 დამოუკიდებელი სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, 18 ქალთა კონსულტაცია და 456 დამოუკიდებელი ამბულატორია. ამბულატორულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებებში ფუნქციონირებს 226 შემავალი ამბულატორია. ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი 85 სასწრაფო დახმარების სადგურიდან 30 დამოუკიდებელია.

ქვეყანაში ამბულატორულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების მიერ რეგისტრირებულია 1444941 დაავადების შემთხვევა, რაც 9,1% მეტია 2003 წელთან შედარებით. სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრიცხულია 621027 ავადობის შემთხვევა, 8,0%-ით მეტი 2003 წელთან შედარებით.

2004 წელს ზოგადი დაავადებიაობის და ავადობის მაჩვენებელმა მოიმატა როგორც სულ მოსახლეობაში, ასევე ბავშვებში. მაჩვენებლის ზრდა აღირიცხა დაავადებათა ყველა ძირითად კლასში.

მიმართვათა რაოდენობამ 1 სულ მოსახლეზე შეადგინა 2,0. პოლიკლინიკურ-ამბულატორული დაწესებულებების 1 ექიმზე (სპეციალისტებთან მიმართვის ჩათვლით) აღრიცხულია 812,1 მიმართვა წელიწადში (თვეში 1 ექიმზე 67,7 მიმართვა), რაც 24,2%-ით მეტია 2003 წლის მონაცემებთან შედარებით.

პოლიკლინიკური ქსელი, პოლიკლინიკების გეგმიურ სიმძლავრესთან შედარებით, დატვირთულია 35,7%-ით. 1988 წელს დატვირთვა შეადგენდა 84,7%, 2002 წელს - 27,1%-ს, ხოლო 2003 წელს 32,5%-ს.

2004 წელს ამბულატორულ-პოლიკლინიკური გასინჯვა ჩაუტარდა 715782 ბავშვს და მოზარდ-მოსწავლეს, მ.შ. სკოლის დამთავრების წინ 16-18 წლამდე ასაკის 35133 ჭაბუკს. პროფილაქტიკური გასინჯვების დროს გამოვლენილია სმენის დაქვეითება - 0,13%, მხედველობის დაქვეითება - 0,58%, მეტყველების დეფექტი - 0,3%, სკოლიოზი - 0,52%, ტანადობის დარღვევა - 0,41% შემთხვევაში.

ამბულატორულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ქირურგიულ განყოფილებებში ჩატარებულია 22008 ოპერაცია, რაც 32%-ით მეტია 2003 წელს ჩატარებულ ოპერაციათა რაოდენობაზე.